16. 07. 2018.

აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს,

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს

საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისს გამოვითხოვე ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. წერილში მითითებული იყო, რომ გვაინტერესებდა უფრო კონკრეტული სახის დეტალები. თქვენ მიერ 4 ივლისს გამოგზავნილ პასუხში თავმოყრილია ზოგადი ინფორმაცია, ამიტომ განმეორებით გიგზავნით წერილს ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.

- „კომიტეტმა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებს შესთავაზა, ბავშვთა მიმართ რეფერირების პროცესში რთულად გადასაწყვეტ საკითხებზე, საჭიროების მომენტში, გამოიყენონ ჩვენი კომიტეტის რესურსი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს შესაბამის კონსულტაციებსა და კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას". -
- ა) მოუმართავთ, თუ - არა რომელიმე მუნიციპალიტეტმა დახმარების თხოვნით?
- ბ) თუ მოუმართავთ, რომელმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა, რამდენჯერ, როდის, რა საკითხზე?
- გ) აქედან რამდენს გაუწიეთ კონსულტაცია და/ან კვალიფიციური დახმარება?
- „კომიტეტი გეგმავს რეფერირების მექანიზმში ჩართული პირების, ბავშვთა ძალადობაზე სათანადო და დროული რეაგირებისთვის, ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებების გატარებას".
- ა) როდიდან და სად (ორგანიზაცია, უწყება...) გეგმავს ამ ღონისძიებების გატარებას?
- ბ) რეფერირების მექანიზმში ჩართული რამდენი პირისთვის გეგმავს ამ ღონისძიებების გატარებას (გაქვთ თუ არა კონკრეტული გეგმა-გრაფიკი, თუ გაქვთ, გთხოვთ, დაურთოთ პასუხს)?
- გ) ვინ (რომელი ორგანიზაცია) იმუშავებს ამ პირების ცნობიერების ამაღლებაზე?
- პასუხში, უმაღლეს საბჭოში მოსწავლეებთან გამართულ შეხვედრაზე საუბრისას, წერია: „საკითხის შესწავლის საფუძველზე, კომიტეტი, თავის მხრივ, გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს".
- ა) კონკრეტულად, რომელ ღონისძიებებს გაატარებს კომიტეტი და რა სიხშირით?
- ბ) რომელი მხარეები იქნებიან ჩართული ამ ღონისძიებებში და რა შედეგზე იქნება გათვლილი?
- „ბავშვთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეხვედრები გაგრძელდება როგორც სხვა სკოლის მოსწავლეებთან, ასევე სხვადასხვა უწყების შესაბამის წარმომადგენლებთან".
- ა) კონკრეტულად რომელი უწყების წარმომადგენლებთან იგეგმება შეხვედრები?
- ბ) მანამდე რომელ უწყებებს შეხვდით საკუთარი ინიციატივით, რომელი კონკრეტული საკითხები განიხილეთ და როგორი შედეგი დადგა?

- გ) ამ შეხვედრების შედეგად, რომლებიც ბავშვებთან გაიმართა, თუ გქონდათ ურთიერთობა მსხვერპლ ბავშვებთან და ასეთ შემთხვევაში, როგორი იყო თქვენი ჩართულობა?
- თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ჩართული ყოფილიყავით ისეთი პრობლემის მოგვარებაში, როცა ბავშვს ეზღუდება განათლების მიღების უფლება და რა კონკრეტული აქტივობები გაატარეთ ასეთი შემთხვევების დროს?
- გაატარეთ თუ არა რაიმე კონკრეტული ღონისძიება ბავშვთა უკანონო შრომის წინააღმდეგ და თუ გაატარეთ, კონკრეტულად როდის, რამდენჯერ და რა შედეგით დასრულდა?
- რა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებთ კრიზისული ცენტრის შექმნის მიმართულებით, რომელშიც განთავსდებიან პრობლემების მქონე ბავშვები?
- „მნიშვნელოვანია, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გააძლიეროს ბავშვთა შრომის გამო განათლების მიტოვების პრევენცია და აღრიცხვიანობა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება მოახდინოს შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე":
- ა) რა კონკრეტულ აქტივობებს ახორციელებთ სამინისტროსთან მიმართებით?
- ბ) მოითხოვეთ თუ არა ანგარიში აღნიშნული უწყებებისგან მათ მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ?
- გ) გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რამდენ ბავშვს აქვს სკოლა მიტოვებული აჭარის რეგიონის მასშტაბით და აქედან რამდენის დაბრუნება მოხერხდა სასწავლო დაწესებულებაში? თუ გაქვთ ეს მონაცემები, გთხოვთ მოგვაწოდოთ პასუხთან ერთად.
- დ) გაქვთ თუ არა ინფორმაცია, ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის რამდენი შემთხვევა აღრიცხა შსს-მ? თუ გაქვთ ეს მონაცემები, გთხოვთ, მოგვაწოდოთ პასუხთან ერთად.

შენიშვნა: ჩვენთვის ცნობილია, ბავშვთა შესახებ რა სახის ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად, ამიტომ გთხოვთ, გამოთხოვილი მონაცემები მოგვაწოდოთ სრულად, ბავშვთა იდენტიფიცირების გარეშე.

პატივისცემით

ნაზიბროლა რეხვიაშვილი, პირადი ნომერი: 62011003485

www.factcheck.ge-ს ანალიტიკოსი

ბათუმი, წერეთლის ქ. 6, ბ. 43.

557 20 00 01

editerrekhviashvili@gmail.com